

ქ.თბილისი

2020 წლის 13 მარტი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 13 მარტს, ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ-ს საშეჯიბრო კომიტეტის მეთვალყურეთა უფროსის ზ. ბაკურაძის მომართვა, მატჩის მეთვალყურის გ. ჯალაღონიას ოქმი, მატჩის თანამსაჯების ი. ჭანუყვამის და შ. ცაგარეიშვილის მომართვები, ამა წლის 6 მარტს, დიდი 10 -ს მატჩზე, რუსთავის „ხარები“-სა და ქუთაისის „აია“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ქუთაისის „აია“-ს მწვრთნელი ავთანდილ კოპალიანი - მატჩის ოფიციალურ პირის სიტყვიერი შეურაცხყოფა.
2. ქუთაისის „აია“-ს წარმომადგენელი გიორგი ნემსაძე - მატჩის ოფიციალური პირების გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2, 2.1.4 პუნქტებით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქუთაისის „აია“-ს წარმომადგენელი გიორგი ნემსაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო გუნდი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. ქუთაისის „აია“-ს მწვრთნელი ავთანდილ კოპალიანი დისკვალიფიცირებული იქნას 1(ერთი) წლით, ხოლო გუნდი დაჯარიმდეს 2000(ორიათასი) ლარით.
3. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში ამოქმედდება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
4. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 6 აპრილამდე
5. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ქუთაისის „აია“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

